თაბარ შველიძე



პრეზიდენტი გამყრღობიდა ხმა არა-ვის ამოულია. ეს ერთი დეტალია ერის ავადობის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. სანამ ჩვენ ანამ-ნეზს არ გამოვიკვლევთ, არ დავად-გენთ, რა გეტკივა, არაფერი გვეშ-ველება. იცით, რა გეტკივა? – ხში-რად გაიძახიან, ყველამ თავისი საქ-მე აკეთოსო. თავისი საქმეა ის, რომ მეცნიერი თავის სფეროში სი-ყალბეს რომ აღმოაჩენს – ეს უნდა ამხილოს. მე მაშინ გამყრღობი-ფიანოვის ორტომეულის თხზულება კი არა, „თხლეზულება“ ვუწოდე. მარტო გამყრღობი-ფიანოვის „თხლეზულება“ კი არ არის ჩვენი უბედურება, ყველა, ვინც სიყალბეს წერს – მწერალი, მეცნიერი თუ ვინც იქნება, ეს ყველა თხლეზულე-ბაა წერს. თქვენი გაზეთი ამ მხრივ გამონაკლისია – მართალი ხალხი ხართ და სიმართლეს ემსახურებით.

გობი ხუციშვილი: არის პე-რიოდი: საზოგადოების აფეთქების აქტივობის, არის პერიოდი, როცა აბსოლუტურად ჩამკვდარია და მოვლენებზე შესაბამის რეაგირებას არ აკეთებს – ესეც ავადობის ნი-შანია. დღეს საზოგადოება ჩამკვდარ-ია. სწორი დიაგნოზა დასასმელი, მახსენდება 90-იან წლებში ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული

გიგიათ ვინმეს ესხნენბინოს სამშო-ლოსთვის ვიბრძობოლო?? ძალიან სამწუხაროა, რომ სამშობლო მი-ვიწყებული კატეგორია გახდა, რაც ძალიან საშიშია, ჩვენი მომავლისთვის. ან მოგვეძებნება პოტენციალი იმ თვისებების გამოშუშავების, რაც გადავარჩენს, ან ძალიან ეჭვით ვუ-ყურებთ სამომავლო პერსპექტივას.

ზურაბ რატიანი: ავად რომ არის ერი, ამას ფიცი-მტკიცე რად უნდა. ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგული გვაქვს. იმის ნაცვლად, რომ ვიფიქროთ, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი, გამოდის მამუკა არეშიძე და ამბობს აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა ვცნოთო, პრეზიდენტმაც კვერი და-უკრა. ამ ქვეყანას არაფერი ეშვე-ლება ასე თუ გაგრძელდა, ამათო-ვის პასუხის მოთხოვნი ვინ არის? – კათოლიკოსო გავიძახოთ, მაგ-რამ არ აქვს ამდენი ძალა ამ კათო-ლიკოსს.

პასხა პუპაშვილს: ჩვენი მთავარი დაავადება არის იდეოლოგიური. ქარ-თველ ხალხს ის ცნობიერება რომ გვექონდეს ახლაც, რაც 80-იანი წლ-ების ბოლოს – ვიცოდი, რომ საბ-ჭოთა კავშირი არის იმპერია, ვართ დაპყრობილი ერი და უნდა ვიბრძო-ლოთ ბოლომდე ამ იმპერიის წინა-



ლი სტრუქტურებისა და ნატოს ელჩებისთვის, ხოლო ქვეყანა იმარ-თება „სხადნიაკის“ დირექტივე-ბით. დასხდებიან სააკაშვილი, მე-რამბივილი, ადგივილი და დაად-გენენ, რომ ვილაცას ქონება უნდა ჩამოართვან. რეალურად ასე იმარ-თება ქვეყანა.

გობი ხუციშვილი: ავილოთ ის სფერო, რაშიც ემუშაბო კონფ-ლიქტების მოგვარება. როდესაც ქვეყნის გამოლიანებაზე ვსაუბრობთ თითქოს პრიორიტეტი, მაგრამ რე-

ადმინისტრაციაა. მისი ფუნქციაა ააშენოს სასტუმროები, პოლიციის შენობები, აშშ-ს მისცეს ბაზები. სახელმწიფოს სხვა ატრიბუტები აქვს. ავილოთ, ბუნდესტაგის სხდო-მის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების დროს რაზე მსჯელობენ – ეს არის ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება. სააკაშვილისგან გავიგიათ, რომ ჯანდაცვაზე ან განათლებაზე შეწუ-ხებულიყოს? პირიქით, გვეუბნებიან ჯანდაცვა და განათლება კომუნის-ტებმა მოიგონეს, თორემ დემოკრა-



გაგაძელები. დახაწვისი ის. „საერთო გაზეთი“ №36 (166)

საგარტველ ოს ისტორია Tavidan bol omde gayal bebul ia! rogor SeiZI eba saqarTvel os istoriaze somxebis mier daweril i qarTI is cxovrebi T~ vmsj el obdeT?

ო, გო-გო! ტე ტე რე ვაკა ტა პოტუ მატუა...“ სამწუხაროდ, ნორვეგიელ მეცნიერს არაფერს აძლევდა ნამდვირი იმისთვის, თუ რომელი ეროვნების იყო პოტუ მატუა და არც გიგანტური ქვის ქანდაკებების გიგანტურივე ქვის თავსაბურები, ორი წვეწარმის მქონე ცხენები, რომელიც მგერელთა თავსაბურები...

პიედრალი წერს: „პირველი რიგში გამოვსახავ იმან, რომ ჩვენ წინ, მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების დროინდელი პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებზე გვხვდება...“

აქ გასაოცარი არაფერია, როგორც უკვე გითხარით, სწორედ ინკებში, აცტეკებსა და მაიას ტომებში შეიტანეს ცივილიზაცია კოლხ-პელაგების, იბერია-მეგრელების წარმომადგენლებმა.

პიედრალი აგრძელებს: „ინკებში მშენებლობის კულტურა შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე...“

აღნიშნულ პერიოდში, იბერთა თაოსნობით, ამერიკის კონტინენტზე, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები. იბერთა პროექტებით იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები: ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. რეგულარული ხაზგასმით მიუთითებს, რომ იბერები უძველეს დროში გადაადგილებას იწყებდნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლეს ამერიკის ჩრდ და სამხ კონტინენტები. კოლხები მეტალურგიულ საქმიანობას ეწეოდნენ (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში, 42-ე პარალელზე...

ბა) შ. ხვედელიძის პიპოტეზა, მაშინ რამდენიმე საუკუნით, - 3479 წლით გადაიწვეს ქართული დამწერლობის საწყისი ისტორია... მიმანია, ტექსტის წაკითხვა სწორადაა მომხდარი... იგივე აზრი გამოთქვეს ილია ბარაქოემა და ოური ზიცარმა.

მაშასადამე, 3479 წელს დაემატება პერიოდებს, ეპიფანესა და სხვა სწავლულთა მიერ ნათქვამი, უწინ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ. „უწინ“, „ძველად“ - ალბათ, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ვერ თარიღდება. პერიოდზე ცხოვრობდა ძვ. წ. V საუკუნეში, გამოდის, კოლხებს 7300-7500 წლის წინათ დამწერლობა ჰქონდათ.

გამოფრული ტექსტი ალბათ, რომ ძვ. წ დაახლოებით XV საუკუნეში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა რომი და მოუწოდა ხალხს, დაეტოვებინა ქვეყანა. ტერიტორია დატოვა 400 000-ზე მეტმა ადამიანმა. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაზე, პირინეის მთის კალთებზე და ბასკეთის ყურის ნაპირზე.

ვევლაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ შ. ხვედელიძის გამოფრულ ტექსტზე მუშაობა უშედეგოდ დასრულებულიყო და ამით მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი ჩააგდეს. სამწუხაროდ, მტკიცე განმართლობის მქონე კაცი მალევე გარდაიცვალა და ამ საქმით საქართველოში აღარავინ დაინტერესებულა.

შენახი (პუნა ჩხი) - მებრული ტომები

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს ატლანტიდიდან მოსულ ხალხად მიიჩნევენ) პირველი კაცის სახელი არის „აინი“, რაც აშკარად ჰგავს „აია-ს“, კოლხეთის უძველეს სახელს. აიას („აინის“) შვილს ჰქვია „ფურ“, რაც ატლანტიდურ-ფინიკიურ ენაზე ნიშნავს „ცეცხლს“. კოლხურად ეს სიტყვა ნიშნავს „ცხელს“. „ფურე“ კოლხურად (მეგრულად) ნიშნავს „მზურავლეს“ (აქედან სიტყვა „ფურე“) ატლანტთა ენაზე, „ფურ“ არის ცეცხლის აღმომჩენი - ცეცხლის აღმოჩენა ატლანტებს მიეწერება. კოლხურში არის იგივე „ფურ-კი“ - „ვეამლი“ ატლანტი პროპეტეს ძმა, პროპეთე ხვამლის მთაზე მიჯაჭვული ამირანია, ბერძენებმა პროპეთე რომ უწოდეს, პროპეთე აიეტის ნათესავია...

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს „მოლი“ ჰქვია. ეს ხომ არ არის ის „მოლი“, რომელიც „არგონავტიკაში“ გვხვდება და ის „მოლი“, რომლითაც მედია ავადმყოფებს კურნავდა? - ეს წარდგინებული კოლხური სიტყვაა. („მოლი“ ფინიკიურად ზღვაში, ნავსადგურის შესასვლელთან აგებული გრძელ კედელს ჰქვია)

აცტეკურ მითებში საუბარია ორ ადამიანზე, რომლებიც გადაურჩნენ წარდგინას „ტატა“ და „ნენა“. ეს უძველესი მეგრული სიტყვაა, ნენას დღესაც დედას უწოდებენ სამეგრელოში, ხოლო ტატა, ტატალი, სამეგრელოში ამჟამადაც ჰქვია ღამას, საუცხოოს, მშვენიერს...

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკიური და მაიას ტომის ანანი („კოლაუს ანანი“).

თუ ეს ასეა, მაშინ ფინიკიელების პირველი ანანი შექმნა „თაათ-მა“. „თაათს“ ეგვიპტელები მთვარის ღმერთს „თოს“ უწოდებდნენ. კოლხურში „თოსი“ - „თითა“ - „თუთა“ მთვარის ღვთაებაა („დამწერლობის ღმერთი“). ძველ კოლხეთში ეს ნიშნავს მთვარეს, „თვეს“, „აკვირის პირველ დღეს“ - თუთა-შხა (სიტყვისიტყვით - მთვარის პირველი დღე, ორშაბათი). კვირულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება „თუთაშლა“ - მთვარის დღე...



„ამ“ ფინიკიურად დადას ნიშნავს, მეგრულად არის „ეს“. ფინიკიური „ბოლ“ არის პაპა, „ბენბენი“ - შვილიშვილი, „რაფა“ - მკურნალს ეწოდება...

ფინიკია მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და თავიანთ თავს „ანაკის შვილებს“ უწოდებდნენ. ფინიკიელები განთქმული ზღვაოსნები იყვნენ. პერიოდებს მტკიცებით, ისინი გაემგზავრნენ წითელი ზღვით, შემოუარეს „შე კონტინენტს“ (აფრიკას), გაცურეს პერკულესის სვეტებამდე (პიბრალტარამდე) და კართაგენში ჩავიდნენ. პერაკლეს სვეტებს იქით მდებარეობდა „ბედნიერების კუნძულები“, რომლებზეც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ, სადაც უშფოთველად ცხოვრობდნენ და ტკბებოდნენ მარადიული ბედნიერებით. ამ კუნძულებს იხსენიებს პომპროსი თავის „ოდისეაში“, ასევე ჰესიოდე, ჰინდარი და სხვები. ამ კუნძულებს ახსენებენ არაბულ ზღაპრებსა და ლეგენდებში.



ზადებინა და გამოაწვევინა მრავალი თიხის ფილა. რომელშიც ჩაწერა ამ მოგზაურობის ისტორია. აღნიშნული ფილები „მან იმ გამოქვაბულში ჩაფედა, სადაც უანჩების წინაპრებს უნდა ეცხოვრათ.“ ბრძენი მოხუცი ფინიკიელი თავის მონათხრობს ასე ამთავრებს: „მოელი ჩემი სიცოცხლე ვეებედა ხალხს, უსამართლოდ რომ არ იქცევა და არ ჩაგრავს სხვას, თავისზე ზღაპრებსა და ლეგენდებში.“

არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ კანარისა და მადეირის კუნძული ატლანტიდის კონტინენტის უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც წინარეისტორიულ ხანაშიც ატლანტის ოკეანეში, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტს შორის მდებარეობდა. მეცნიერები იმაზეც მიუთითებენ, რომ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხი, უნაჩები (გუნაჩები), ატლანტის იმ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ატლანტიდაზე ცხოვრობდნენ და მათთან ერთად ოკეანის სიღრმეში ჩაინთქნენ.

„უნაჩები (გუნაჩები) ბუნებრივი კუნძულის მოსახლეობაა, რომელთა წარმოშობა აქამდე საიდუმლოებით არის მოცული, გარდა იმ შეხედულებისა, რომ უანჩები დალუპული ატლანტიდელისგან წარმოიშვნენ... არსებობს ასეთი აზრიც, რომ უანჩები უძველესი ეგვიპტელებისა და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერების მონათესავენი იყვნენ. ისიც ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერები მეგრული ტომები არიან, რომ მათ მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები, ქართული ცეკვის მანერები და ქართულ-მეგრული სამზარეულო. უანჩებში შემორჩენილი სიტყვები ჩრდილოეთ აფრიკის ტომების ბერბერების სიტყვებს ჰგავს, რომ ბერბერები თავისუფლად, გასაგები ენით ესაუბრებოდნენ უანჩებს“ - წერს ვ. იანი. (ვ. იანი „ფინიკიური ხომალდი“ 1967 წ.)

იანს აღწერილი აქვს ფინიკიელთა მოგზაურობა გვიტო კარო-ხადაშტიდან, რომ ამ მოგზაურობის მონაწილე მოხუცმა ბრძენმა ფინიკიელმა, თიხის ქონების, ვაზის ფილებისა და მათი გამოწვევის სპეციალისტს დაამ-



კოლხ-მეგრელები და მათი წინამძღოლი პოტუ მატუა იყო კუნძულის პირველი მეფე. (მატუა მეგრული გვარია) მუსლიმანთა წინააღმდეგ დღევანდელი ევროპული ქვეყნების რაინდთა ბრძოლებში დავით აღმაშენებლის მოლაშქრეებიც მონაწილეობდნენ, რომელთა ზოგიერთი გვარი შემონახულია (შელაია, ხარბელია და სხვა) და ისინი ლაშქრობის შემდეგ ევროპაში დასახლდნენ. მეგრელები მრავლად იყვნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებშიც. მოკლედ გეტყვით, ყველა მონაცემით ჩანს, რომ ავსტრალიელი მეცნიერის მიერ ნაპოვნი რაინდი დავით აღმაშენებლის მოლაშქრე იყო.

16 საუკუნის შემდეგ ადგომის კუნძულის მეცხოვრებლები ანაკენაში, სადაც პოტუ მატუას სახლი აყენეს, ტერ პიედრალის ექსპედიციის წევრებს სიყვარულით უმღეროდნენ „ტე ტერტერ, ტე ვაკა ტე პოტუ მატუა!“

შოთა ხვედელიძის იბერიული (მებრული) ტაბულა გაშიფრა

1975 წელს ჟურნალში „ტენნიკა“ მოლოდიოვი“ №6-ში გამოქვეყნდა გაუშიფრავი იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გადმოგზავნა მეცნიერებთა დოქტორმა მანუელ დედრანევიმ. სამი თვის შემდეგ, თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ტექსტი გაშიფრა, რომელიც მთლიანად გამოაქვეყნა აღნიშნულმა ჟურნალმა. თსუ-ის მამინდელმა რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა ლინგვისტიკისა და ისტორიკოსების დიდი თათბირი მოიწვია, რომელთაც მოუხმინეს ხვედელიძეს. აკადემიკოსმა ა. ჩიქობავამ ხვედელიძის მიერ გაშიფრული ტექსტი აბსოლუტურად სწორად ჩათვალა. რუსი აკადემიკოსი ა. ბელოლუედევისკი (ხემოთაც ვახსენე) წერდა: „თუ დადასტურდა (ჩანს დასტურდებოდა)“.

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



სუსტს და აი, მივაგენი მათ... (საუბარია უნაჩებზე, ბერბერებზე, ბერბერების მონათესავე მგერულ ტომებზე)

ვასილ იანის წიგნში „ფინიკიური ხომალდი“ აღწერილია, როგორ იბოვა სიძველეთა მოყვარულმა ექიმმა ვიქტორია მარტინმა გათხრების დროს მცირე აზიაში, საიღმოსო, პატარა ბიბლიოთეკა. იმ ადგილას ოლესიაც ფინიკიური ქალაქი სილონი მდებარეობდა. ნაპოვნი „წიგნები“ თანაბარი ზომის უამრავი თიხის ფილებიდან შედგებოდა;



ფილებზე ასობე იყო გამოსახული და დაწერილია 3-4 ათასი წლის წინ. მეცნიერებმა ამოიკითხეს და თარგმნეს ფილებზე ნაწერი უძველესი სამედიცინო, ასტროლოგიური და ისტორიული თხზულებათა ნაწყვეტები. მათ შორის წააწვედნენ ზღვაოსნის დეტალურ ჩანაწერებს. სწორედ ეს ჩანაწერები დადო საფუძვლად ვ. იანის რეალურ ისტორიას.

„უნაჩი მამაკაცები მალაი, აზოვანი და ძლიერები იყვნენ. ისინი მამაკაცურად იბრძოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ სამშობლოს, როდესაც თავს ესხმოდნენ მეკობრეები. ბევრს ვიპოვე, ბევრს ვიპოვე – უძველესი მეგრული გვარია“ ბერძნულად დაუწყო ლაპარაკი უნაჩს... – მსგავსი მგალითები ძირადად აქვს მოყვანილი ვ. იანს თავის შრომებში.


XV საუკუნის დასაწყისიდან კანარის კუნძულებს ესპანელები მიაწოდნენ. მათთან ბრძოლაში უამრავი უნაჩი დაიღუპა. ზოგი მონებად გაიხადეს, ზოგმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო, ესპანელებს დაუნათესავდნენ და დაიკარგა უნაჩების ცალკე ტომის კვალი. ამჟამად უნაჩების კუნძულებზე ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ.

ქანისტური (ქოსანის) ენა ქართველური ენა

უკანასკნელ პერიოდში ცნობილმა უცხოელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მასალები სათაურით „უცნობი ქართველური ენა და მესობოტამიაში ქართული დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი“.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსევიჩი წერს: „შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ კასიტური (ქოსების) ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს ძვ. წ. აღ-ით XVIII საუკუნის შუა წლებიდან ძვ. წ. აღ-ის XII საუკუნემდე“, რომ ქვეყანას მართავდნენ კოლხები და მმართველობა კოლხურ ენაზე ხდებოდა.

გარდა ამისა, გერმანელმა არქეოლოგებმა (შმიდტის ხელმძღვანელობით) თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გიობეკლე-თებეს (თეფეს) მხარეებში, ჭობლარის მთაზე (ჭობი, მეგრულად „ჩუპა“ – ჩუპას მთაზე) აღმოაჩინეს ნეოლითის პერიოდის II ათასი წლის წინანდელი კვლევის-ტაძრები. „კარგად შემონახულ კირქვის სამშენებლო რუსული დიდი T-სებრ სვეტებზე გამოსახული იყო ქვის საუკუნის მთელი ზოიპარკი: ლეოპარდი, მელა, ველური ვირი, გველი, იხვი, ტახი, ველური ხარი, წერო. უყურებ რა მათ, წარმოგიდგება, რომ იხვი ეს-ეს არის ფიფის დაიწყებს, მელა თავს დაესხმის მსხვერპლს, ველური ხარი სამომრად წამოვა თქვენკენ, – ამ ეპოქაში მსგავსი სილამაზე და დახვეწილობა არაფერია უნახავს.“



„შესადლებელია სამშენებლო ორნამენტებზე, სვეტებზე, გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები, ჩანს, საჭმე გვაქვს ინფორმაციის უძველეს სისტემასთან, რომ გიობეკლე-თებეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და ადამიანებისთვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით, თუმცა, საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლე – თებეს სიმბოლიკა“ – წერს შმიდტი.

მეცნიერები ერიდებიან დამწერლობის შესახებ საუბარს, რადგან ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს...

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერში ლონდონში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილი იყო „ფესტოს დისკოს“ სათაბლიკო თარიღს, მთავარი მომსახურებელი იყო გ. კვაშილავა, რომელმაც პროტოქართულ ენაზე „ალაპარაკა“ 4 000 წლის წინანდელი კოლხური დამწერლობა...

აფრიკაში ქართველი ზანგები სხობრზა

1897 წელს ჟურნალ „მოამბის“ მიმოხილვაში, „იერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერის, მეცნიერებათა დოქტორის, მოგზაურის საქართველოში ნაყოფის და საქართველოს კარგად მცოდნე ა. ვ. ელისიევის ნაშრომი იმის შესახებ, რომ აფრიკაში, საპარის უდაბნოს განაპირა მხარეს, ქალაქ უარგალში (ვარგალში) უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ და ამჟამად ცხოვრობენ მეგრელები. ელისიევმა მოგზაურობის შთაბეჭდილებები და შედეგები წიგნში „პო ბელუ სვეტუ“ აღწერა. მას პირადად აქვს მოხსენიებული ჩაწერილი ქართული საუბარი აფრიკაში და ასხენებს გვარებს: გუგუნავა, ჭანუგვია და სხვა.

1989 წელს გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტ გიორგი კურტიანიძის წერილი, რომელიც ალფრის ნავსადგურში ნაყოფი ქართველი მეზღვაურის, სიორიძის მონათხრობზე იყო აგებული. მისი გადმოცემით, სხვა ქართველ მეზღვაურებთან ერთად ნავსადგურში ნახა „მეგრელი ზანგები“, რომლებიც ფრანგულ გემს ტვირთავდნენ. ერთ მათგანთან გასაუბრების დროს, „ქართველმა ზანგმა“ სიორიძეს უთხრა, დღეს აქ ათი ქართველი ემუშაობო, ყველა ერთი სოფლიდან ვართ და აქ, უჯდასთან (მაროკოს საზღვრისპირა ქალაქი) ქართველების რამდენიმე სოფელია. მათი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გუგუნარის (გუგუნავა) გვარს ატარებს.

პროფესორი ილია ტაბალა ორჯერ იყო ალფრისში 1964 და 1967 წელს, მაგრამ ვერ დაადგინა „ქართველი ზანგების“ ვანგების საკითხი.

1972 წელს „აფრიკელი ქართველების“ საოცარი ისტორიის შესახებ გაზეთში გამოქვეყნდა დ. ფაშტიანის ვრცელი წერილი.

„ქართველი ზანგების“ შესახებ დოკუმენტური მასალები აქვს გამოქვეყნებული გ. მახარაძეს წიგნში „არდაღიწება მოყვრისა“, რომელშიც ასეთი თავია – „აფრიკის, ანუ უარგალელ-უჯდელი ქართველები“.

მაია ჭილიძე (დასასრული შემდეგ ნომერი)

herkul esis~ muSebis xel Sekrul ebas `saiakabal urs uwodebs

`ras iTxov billo? kai cxovrebas da fufunebas?!~

მიმე მრეწველობის დარგის ინტელი ინვესტირება საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისში მეტალურგიული ქარხნის – „ჰერკულესის“, ზარ-ზეიმით გახსნა, რომელიც ადგილობრივი მთავრობისთვის თავის მოსაწონებლად ნიყიერი ლუკმა იყო იქ, დასაქმებული ადგილობრივი კადრებით. დღეს „ჰერკულესი“ უკვე ქვეყნის მასშტაბით, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით ძალიან ცხელი თემატია.

განსხვავებით სხვა ქვეყნის ინვესტიციისგან, ინდური მხარე გამოაქვს ადამიანს, რომელმაც ყველაზე ცუდი და გაუსაძლისი საშუალო პირობები შექმნა. ამიტომ იყო, რომ მუშახელის 3-დღიანმა შიმშილობამ და გაფიცვამ მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულესი“ საერთაშორისო სკანდალში გახვია. საქართველოს პროფკავშირებმა ვიდრე მეგობარი კოლეგები ოქაინისგანდამდნ არ ჩააყენეს საქმის კურსში, არ უპატაკეს, რომ დემოკრატიულ საქართველოში მუშებს მხოლოდ იმიტომ სდევნიდნენ და ატოვებდნენ სამსახურს, რომ გაბედვს და პროფესიულ გაერთიანებაში გაწევრიანდნენ, რათა უკეთ დაეცვათ თავიანთი უფლებები, მანამდე არ გაათავისუფლეს სამართალდამცავებმა დაკავებული აქციის მონაწილეები. თუმცა, რა მოხდა მათი წინასწარი დაკავების ადგილებიდან გამოსვლის შემდეგ, ეს ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი, თუ როგორ პირობების, პროვოკაციებსა და ზეწოლებში უწევდათ გაფიცულ მუშებს საკუთარი ღირსების დაცვა.



აქციის მონაწილეებთან დიალოგზე მისულები ეგონათ.

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ძალზედ ოსტატურად და იწყებს მომშობილების და გაფიცულების მანქანებში ჩატენა. ზედმეტი ხმაურისა და ფიზიკური შურაცხვიფის გარეშე სვამდნენ მათ და უკვე გადასებულ მანქანებს გაუკვეცილი მიმართულებით მიაქანებდნენ. იყო შემთხვევები, როცა ქუთაისელი პოლიციელები ასეთი ტექსტებით უგრესდნენ ხელს მუშებს: „რას ითხოვ ბიჭო? კი ცხოვრებას და ფუფუნებას ხომ? ააა, ახლა განახებ მაგ ფუფუნებას!“

მეტალურგიული ქარხნის მიმდებარე ტერიტორია ძალიანებმა ზუსტად 20 წუთში დაეცარიელეს, რატომღაც თავიანთე გამოითიშა დაკავებულების რიცხვს პროფკავშირების წარმომადგენლები. ყველაზე მეტი აგ-

„აბია, თქვენს თავზე იზრუნეთ, რისი პროფკავშირები აგიტყდათ, იმით რომ უყურებთ, თავიანთ საქმეს იკეთებენ, ქვეყანა ხელფასები აქვთ, აგერ სამსახური გქონიათ, ამ გაჭირვების დროს და კიდევ იფიცებთ?“

ჯერ ხელბორკილ და მერე, ხელწერილადებულმა მუშებმა, სულ მუშტების პრაგუნში დაღეს პირობა, რომ: „ემიჯნებოდნენ ყოველგვარ გაფიცვას, თანხმობას აცხადებდნენ, დაბრუნდნენ სამუშაო ადგილებს და რომ გამოფიცი არიან სამუშაო პირობებით!“

უკვე „საბოლოო“ მყოფი მუშები ამბობენ, რომ: „ისე ვარ კაცი, გონია, ის სახლიც გავცილო ქარხანას რომ გადაკურებს ჩემი ფანჯრები. შემოვალა რა, ჩემი თავი. თან რისთვის? იმისთვის უნდა გადამიტვირიონ ხელები, რატომ ვიჭვი, შორტებით და ლაბსტებით ვერ ვიმუშავებოქო, არც კასკა და ხელთათმანები არც მცოდნებოა?! იმას, რომ როცა ჯართის დამჭრელი ავრევატები მუშაობს, იმას არ რთავენ და ლობივით და უროვნით ფიზიკურად შუშობდებელ საქმეს გვაკეთებინებენ?! აღმანო, რა თვეში, სახლიდან წამოღებული საჭმელი ხელში მიკავია და ისე ვჭამ, სასადილო არა გვაქვს. რა მოსატანია, მარა, ტულებზე არა გვაქვს, გართო ხომ არ უნდა ქნა შიგნით შავადო?! მართლა ელემენტარულს ვითხოვთ, რაც გვეკუთვნის, თორემ მუშას რომ ფეხებზე არაფერია წამოასკუბებს და „პოპულიდან“ მზა კრებებს




რესა მინც 4 მომშობილებე – გონა დარჯანიაზე, მალხაზ გოგიავას, იუზა კახიძესა და კახა ცერცვაძეზე მოდიოდა. სწორედ ეს ოთხეული გაქრა „ჰერკულესის“ ტერიტორიიდან პირველი. ქალაქის ცენტრიდან, საკმაოდ მოშორებული ქარხნის ტერიტორიის მისასვლელ გზებზე, მანქანებიდან ყრიდნენ იმ მუშებს, რომლებიც ხელსაათებსა და დიდად არ ჭირდებოდათ. მათი შერჩევა ერთ „ეკვიან“ კაცს ებარა, რომელიც პირდაპირ ხმამალა ამბობდა აქციის დაშლის დროს: „ეს წამოიყვანეთ, ისიც, არა, ეგ არ გეჭირდება!“ ამ სანახაობას თვალყურს ადევნებდა მხარის პოლიციის უფროსი და საპატრულოს შეფი, საათებსა თუ წამებში მიღებულ დირექტივას, რომ აქცია აუცილებლად იმ დამეს უნდა დაშლილიყო, პირადად იბარებდნენ დათამაშული და კუპატაძე.

დამის სამ საათამდე გაურკვეველი იყო დაკავებული პირების, როგორც რაოდენობა, ისე ადგილსამყოფელი. პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებსა თუ სამმართველოებში მისულ პროფკავშირების წარმომადგენლებს, ქუთაისელი ძალიანებნი საერთოდ უმაღავენ მუშებს, ისევე როგორც პროფკავშირის წარმომადგენლებს თავიანთ, გონზე მოსული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც სიტუაციის შესასწავლად, ან კიდევ

არ მოუტანს ადმინისტრაციასავით, ეს კი ვიცი თქვენ.“

მოუხდავად იმისა, რომ აქციის დაშლის შემდეგ, ჟურნალისტებთან კონტაქტზე „ჰერკულესის“ არც ქართული და არც ინდური მხარე კონტაქტზე არ გამოსულა, ამას ხელი რატომღაც არ შეუშლია ქალაქის ვიცე-მერ, ირაკლი ჯიქიასთვის კომენტარი მიეცა ერთ-ერთი საგანგებო სიტუაციის, რომელშიც მუშებს გამაგურებდა და ინვესტორს დაეცავდა. მშინმშემ, ასეთი განცხადებისთვის უახსუხისმგებლო ჩინოვიკის სამსახურიდან გაუშვებდნენ. ვიცე-მერის უადგილო კომენტარის მიყისიერი რეაქცია პროტესტი ურჩაღისტების გარდა, ქუთაისელი ახალგაზრდების მხრიდანაც მოჰყვა იმავე დღეს, მერიის წინ, რამოდენიმე ახალგაზრდა მივიდა პლაკატებით, სადაც მუშებს უცხადებდნენ სოლიდარობას და ჯიქიას ფანჯრების წინ პროტესტის, თუნდაც ერთ წუთს იყენებდნენ. განსაკუთრებით ერთი პლაკატი იყო თვალშისაცემი: „თუ არ შეცვლით შრომის კოდექსი, არ ენახავთ ქუთო და კოტეს!“ გუშინ კი ანალოგიური სოლიდარობის აქცია, იმერეთის სამხარეთო პოლიციის სამმართველოს წინ, „ახალგაზრდა ორისიტა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა გამართეს.

ზვიად სუჰაჰაძე ქუთაისი.



6. ამ კუთხის მოსახლეობის გადმოწერის მიხედვით 17-18 სს. და სომხეთის გადასახლება

თვით ქვემო-ქართლის სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ვითარება საქართველოსთვის უადრესად მნიშვნელოვანს ქვეყანასა და „მეწიწე სადროსო“-ს, მას ხშირად ბრძოლისა და მტრის თავდასხმის ასპარეზად ხდოდა და ამის გამო მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არაერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდევ. უფრო ძველ დროსაც რომ თავი დაეანებოთ, მარტო შაჰაბაზის შემოსევამაც ამ მხრივ დიდი ზიანი მოუტანა. ამას გარდა, სპარსეთის შაჰებს რომ საქართველოში მუდამ ერთგული წინამძღვარი და მომხრენი ჰყოლოდნენ, შაჰაბაზმა აქ თურქთა ელჩი ბორჩაღუ ჩაასახლა. თანდათანობით გაზახ-შამშადილოლორეს ხანებიც გაჩნდნენ (ვახუშტი 70). ხშირი სამხედრო მოქმედების გამო ეს ქვემო-ქართლი, „თრიალეთი, ტაშირი და აბოცა“ მთლად აოხრებული იყო: იქ „კაცნი არაღარ იყუნენ“ და მხოლოდ ვახტანგ მე-5-მ კვლავ დაასახლა იგი (იქვე 82).

თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა. მე-17-18 საუკუნეში შემწეობები იყო გარეშე მტრისაგან. ადვილად წარმოსადგენია, რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელსაც მე-12 ს-ითგან მოყოლებული საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებული იყო და მე-16 ს-ითგან მოყოლებული ხომ სახანოების ქვეშევრდომად ითვლებოდა. აუტანელი მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პოლიტიკური დევნისაგან, სომხობა თავის ქვეყნიდან იყრებოდა, მამაბაბუებს მიწა-წყალს სტოვებდა და სხვა, უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს. საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მასობრივი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, - საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა და თანაც საქართველოში შემოხიზნულ სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულნი იქნებოდნენ. ამიტომ იყო, რომ დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდნენ, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ თავიანთ თვისთავესაგანს.

სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მთავრდებოდა. ამიტომ, არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოხიზნებოდნენ ხოლმე სწორედ ქვემო-ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს კერა ე.წ. სომხეთში, ლორეში,

ივანე ჯავახიშვილი:

saqarTvel os sazRvrebi

istoriul ad da Tanamedrove Tval sazrisiT ganxil ul i

ტაშირში და სხვგან. ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ „სომხით“-ში ვახტანგ მე-6-ს დროს. „მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქვევა-ზნით ქართულითა“ (გეოგრაფია 146). ტაშირის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ იქ მოსახლეობენ არიან სარწმუნოებით სომეხნი... და მოსილნი არიან ბინძურად და გახეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი ავფერად-უმეგრად. გარნა არიან ჰეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდენნი, უხმარნი“-ო (იქვე 148).


მაგრამ არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შერჩენილა აქ დიდხანს. თურქების შემოსევის დროითგან მოყოლებული. მე-18 ს-ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა (ვახუშტი, საქართველო ცხოვრება 122, 137, 139, 140 პორბელიანი).

ამ ხნის განმავლობაში ეს საქართველოს სამხრეთის კუთხე ისე აოხრდა და გაუკაცრიელდა, რომ 1760 წლისათვის, როგორც რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილ აღწერილობაში ერეკლე მეფე სხვათა შორის ამბობს, მოსახლეობის ნახევარზე მეტი შერჩენილი არ იყო.

მე-18-ს -ის მეორე ნახევარში ამგვარი აოხრებისა და ხალხის გადასახლების წყალობით, სომეხთა მოსახლეობა თვით მათს მკვიდრს მიწა-წყალზეც ისე შემცირდა, რომ ერევანის სახანოში ითვლებოდა 3000 სახლობა, ნახჭავანში - 500, ყარაბაღში - 7000, ყარაღაღში - 300, განჯაში - 1500. დანარჩენნი მათ სამშობლოში აღარა სცხოვრობდნენ: დარუბანში 1000 მარაღაში - 2000, ხოში, 1000 სახლობა ითვლებოდა (ნ.ბუტკოვი მე-2, 142). ამგვარად, სომეხთა რიცხის ჯამი მთელს ამიერკავკასიაში 17000 იჯახობას უდრიდა.

მობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე. ამიერიდან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდნენ და მათის დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმის გაკეთებას. როდესაც სომხებმა შეიტყვეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულებასა სდებდა და რუსეთის კავშირსა და მფარველობას ეძებდა, ჯერ კიდევ ხელშეკრულება დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს შედგენილი თხოვნა მიართვეს, რომელშიაც ყარაბაღისა და ყარაღაღის სომხები რუსეთის სამეფო სახლობას ერთგულებას უცხადებდნენ და თანაც უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას სთხოვდნენ. რუსეთის მთავრობას ეს, რასაკვირველია, მოეწონა და მან გადასწყვიტა, მეფე ერეკლეს დახმარებით შუშის ხანი დაემხო და ყარაბაღითგან და ყარაღაღითგან ერთი სომხური ოლქი შეედგინა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამ ოლქის მართვა-გამგეობა სომეხთა თანამემამულეს უნდა ჩაჰბარებოდა და კარგად უნდა მოეყოლიყო, რომ დახმარებულ სომხებს ოლქებსაც ყარაბაღელი სომხებისათვის მიეძღვათ და მათთან შეერთებულნი იყვნენ. ამ გზით რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ აზიაში საქრისტიანო სახელმწიფოს აღორძინებდა. (11.142).

ეს უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაა, რომელიც თითქოს სომეხთა საკეთილდღეოდ იყო შედგენილი, მაგრამ რომლის განხორციელებაც რუსეთს ამიერკავკასიაში მტკიცედ ფეხს მოაკიდებინებდა. საქრისტიანო



რუსთ ხელმწიფეს იღუმალი თხოვნა მიართვეს, თქვენ ქვეშევრდომებად და მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო. ამასთანავე, ისინი თხოვლობდნენ, რომ მათ რუსთ ხელმწიფისაგან ან რუსეთში შეხიზნის, ან, იმავე პირობით, საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ (იქვე, 1, 123 და 134).

უეჭველია, ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით, სომეხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მაღლობის მაგიერ და საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს.

როგორც ეტყობა, სომეხი მელიქებია მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ მიზანს მიაღწევდნენ.

მათლაც, რუსეთმა ისინი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო და თუმცა ეს დადებული ხელშეკრულებების დარღვევა იყო, მაგრამ მაინც რუსთ ხელმწიფეს მათთვის სხვის სახელმწიფოში დასახლების ნებართვა მიუცია. ასე იყო ეს საქმე მოწყობილი ფარულად, ოფიციალურად კი რუსეთის ელჩს საქართველოში დავალებული ჰქონდა, რომ ის საქართველოს მეფესთან ცდილიყო და სომეხი მელიქებისა და მათი ყმებისათვის დასახლებული მიწები განსაკუთრებით შედევითან პირობით დაეთმობინებინა. მიწერილობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩს უნდა ჩაეკონებინა მეფისთვის, ვითომცდა რუსეთის მთავრობა, ამ შემთხვევაში, თვით საქართველოს საკეთილდღეოდ ცდილობდა.

ყველაფერ კარგად იცის, რომ დიდი „მფარველი“ სახელმწიფოს თხოვნა პატარასთვის იძულებას უდრის. ამის წყალობით, სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წაიღეს მიადღევეს. სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იღუმალი ქვეშევრდომები და თავიანთი გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს. ერეკლე მეფემ დაასახლა ისინი ზოგი თელავში, ზოგი - სიღნაღში.

ქვემო ქართლში, ე.წ. სომხეთში და ლორეში, მელიქ აბოს გარდა, არავინ დასახლებულა, ის მაშინაც, როცა საქართველო რუსეთის შეუერთდა თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-29 წლებში, როდესაც ოსმალეთთან 10000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთთან 30000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი კიდევ ერევნის გუბერნიაში დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა. (გაგრძელება იქნება)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.net შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**

7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი მე-18-ი მე-19-ი ს-ში

ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოხიზნის ხასიათი, როგორც ეს ლა ირკვევა, თვალსაჩინოდ იცვლება: თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე-18 ს.-ის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც შედარებით იყო. თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის

სომხური სახელმწიფოს აღორძინება სომეხთა გულითადი ნატვრა იყო და, უეჭველია, რუსეთის მთავრობის მიერ სწორედ მათი მისაზიდავად და აღსაფრთოვანებლად იყო ამ გეგმაში ეს აზრი შეტანილი.

ამიერიდან მოყოლებული უცნაური მდგომარეობა შეიქმნა: სომხები ორმაგს კავშირს იჭერდნენ: ერთის მხრით საქართველოსთან, მეფე ერეკლე მე-2-ს ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დევნილი და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდნენ. იმავე დროს, მეორე მხრით კი - იღუმალ რუსეთის მფარველობას ამოეყარებოდნენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს აკეთებდნენ.

როგორც არა ერთხელ ეს ქართველებსაც შემთხვევით, სომხებმაც პირადად გამოცადეს, რამდენად სა-

ხიფათო იყო რუსეთის დახმარების მოიმედება: რუსეთმა რომ ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულებების და მიუხედავად, საქართველოთგან მეშველი ჯარი მთლად გაიყვანა და ჩვენი ქვეყანა გააფთრებული მტრების პირის-პირ დასტოვა, ამის საბედისწერო შედეგი მარტო საქართველომ კი არ იგრძნო, არამედ სომხებმაც და თვით ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ ხანმაც. აღამაჰმედ ხანის შემოსევის დროს ყარაბაღის ხანი იძულებული იყო ყველა სომხებისათვის, ვისაცა-კი იარაღის ხმარების უნარი არ ჰქონდა ან ციხეში არ დაეტივნენ, მეზობელთა სამფლობელოებში - საქართველოში გახიზნის ნება მიეცა იმ იმედით, რომ როცა ქარიშხალი დაწყდებოდა, ისევ უკან დაებრუნებინა, მაგრამ არამც თუ გახიზნებული სომხები ყარაბაღში აღარ დაბრუნებულან. სხვებმაც კი მათ მიჰბაძეს: თავიანთი მელიქების წინამძღოლობით აიყარნენ და ზოგი განჯაში, ზოგი კიდევ ისევ საქართველოში გადასახლდნენ.

იმ დროს, როდესაც ერთი მხრით სომეხთა კათალიკოზმა ლუკამ საქართველოში ასოხრებლად 1759 წ. მომავალს სპარსეთის შაჰს აღამაჰმედხანს, ალბათ, შიშით „სამხედრო ხარჯების დასაფარავად“ 100 000 მანეთი მისცა, მეორეს მხრით და იმავე დროს შეძლებული სომხები ყარაბაღითგან, ერევნიდან, ნახჭავანიდან და სხვა ადგილებიდან მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად საქართველოში გამობრუნდნენ და იქ ბამბაკის ხეობაში იხიზნებოდნენ იმ იმედით, რომ აღამაჰმედხანი საქართველოში შესვლას ვერ გაბედავდა.

ტფილისის აოხრების შემდგომაც მელიქები აბოვი და მეფეებში თავის ყმებიანად ისევ ერეკლე მეფეს შეეხვეწნენ და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს. ერეკლე მეფემ მელიქი აბოვის ვედრება შეისმინა. ს. ბონისის მისცა და კოლპის გზის დაცვა ვალად დააკისრა (იქვე 1-ლი, 116 შენ).

დანარჩენმა სომხებმა მელიქებმა სხა გზა ირჩიეს: მელიქების ჯიმშიდისა და ფრიდონის მეთაურობით საქართველოს მეფეს ზურგი აუქციეს და პირდაპირ რუსეთის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე. წავიდნენ და სუთივე სომეხი მელიქის სახელით

რედაქციისგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ იბეჭდება უცვლელი ხასით.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ამჟამად სასჯელადსრულების №17 რუსთავის დაწესებულებაში მყოფი პოლიტპატიმარი ვახტანგ მისიაია ურნალისტურ-ანალიტიკური მოღვაწეობითაც არის ცნობილი. ამჯერად გთავაზობთ მის ანალიტიკურ პუბლიკაციას, რომელიც რუსეთში 2012 წლისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტებს და პროგნოზებს ეხება.

ელსინი, პუტინი და მილანოვიჩი – შაკალაჰ

მომაკვამა 2012 წელს უნდა გასცეს პასუხი რიტორიკულ კითხვას თუ როგორ განვითარდება რუსეთი 21 საუკუნეში. ელსინიდან პუტინამდე რუსეთმა გაიარა პოლიტიკური განვითარების სრული ციკლი, რაც სინკროდით გამოიხატება. მედვედევის მმართველობა კი, სწორხაზოვანი კურსით გამოისახება, თუმცა ბოლო პრეზიდენტმა არა მხოლოდ შეინარჩუნა წინამორბედის მიღწევები, უფრო განამტკიცა მისი, როგორც გლობალური პოლიტიკური აქტივის იმიჯი. ელსინის „დგრადცია“, პუტინის „ავივოლოპ“, მედვედევის „თანაბარი განვითარება“ სულ მალე ახალ, მეოთხე ფაზაში გადავა. რუსული მოდელი ევროპულ-ამერიკულიდან გამოირჩევა ქარიზმატულ ლიდერზე ორიენტირებით.

პუტინმა რეალური მმართველობის შუალედში მოახდინა მართვის სისტემის ცენტრალიზაცია, გააუქმა ადგილობრივი მმართველობის პირდაპირი არჩევის წესი, შემოიღეს პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი, ხოლო მედვედევმა მოდერნიზებული ვერტიკალი უცვლელად დატოვა და ეს გასაგებია, რადგან ამ ვერტიკალის განუყოფელ ნაწილად კვლავ დარჩა პუტინი, რომელიც 2008 წლიდან მმართველი პარტიის „ედინაია როსია“ ლიდერი და პრემიერ-მინისტრი, ასევე, აღიარებული ეროვნული ლიდერია. საინტერესო დეტალია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში სწორედ პუტინი ახორციელებდა კრემლიდან საბრძოლო მოქმედებათა ოპერატიულ მართვას, იმ ფონზე, როცა მედვედევი სოჭის საზაფხულო რეზიდენციაში ისვენებდა, იმის მიუხედავად, რომ კონტინენტის ცხინვალში გაგზავნის გადაწყვეტილება მედვედევმა მიიღო.

რეიტინგი იზრდება

პუტინთან არის ასოცირებული ისეთი პრესტიჟული საერთაშორისო მასშტაბების ღონისძიებების დაგეგმვა, როგორცაა 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადი, 2016 წლის პოკეის მსოფლიოს ჩემპიონატი, 2018 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი, 2015 წლის სტუდენტური სპარტაკიადი და იმავე წელს ქვლადი-ოლსტოკში წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტი. მართლაც აღინიშნული ღონისძიებების გამო უკვე მნიშვნელოვნად არის მსოფლიოში ამაღლებული რუსეთის პოლიტიკური გავლენა და იმიჯი... პუტინის რეიტინგი სოციალური კვლევების მიხედვით კვლავ 60-პროცენტთან ზღვარზე მყდრდება, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ნათლად წარმოაჩენს შანსს, რომ იგი კვლავ გახდეს ქვეყნის მეთაური უკვე მომდევნო 12 წლის განმავლობაში, რადგან პრეზიდენტად ყოფნის ვადა რუსეთში 4 წლიდან 6 წლამდე გაიზარდა. 1998 წლის დეფოლტის შედეგად მაშინ, როცა პუტინმა ქვეყანა ელსინისგან გადაიბარა, ქვეყნის საერთაშორისო-სავალუტო რეზერვი მხოლოდ 10-12 მლრდ. დოლარს შეადგენდა. პუტინის რეალური მმართველობის შედეგად ამ მაჩვენებელმა უკვე 2011 წელს 537,7 მლრდ. დოლარი შეადგინა, სწორედ პუტინის მმართველობის დროს დაფიქსირდა საერთო ინფლაციური მაჩვენებლის ყველა დაბალი დონე, თვეში, სავარაუდოდ, 2-3 პროცენტი.

პუტინის მმართველობის პერიოდში წერტილი დაუსვა ტერიტორიული მილიანობის პრობლემას და ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში თითქმის ჩაქრა სეპარატისტული კერები. მთავა-



ცა სავიციო, სტრავინსკი, გუმილერი, ლუგინი და ა.შ. დაიწყო ისეთი მეგა-პოლიტიკური პროექტების განხორციელება, როგორებიც არის ერთიანი ევრაზიული კავშირი; ერთიანი საბაჟო კავშირი; შანსაის თანამშრომლობის ორგანიზაცია. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვეყნის სამხედრო-ტექნიკური გადაიარაღების მასშტაბური გეგმები, რომელიც პუტინის თაოსნობით 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტთან გამოყოფა 20 ტრილიონი რუსული რუბლი (600-700 მლრდ დოლარი) ახალი,

ruseTis pol itikuri `enigma~ 2012 wl is saprezidento arCevnebis peripetiebi

რი სადაზვერვო სამმართველო („გრუ“) 2006 წლიდან გადავიდა სუპერთანამედროვე შტაბ-ბინაში და ონლაინ რეჟიმში ახორციელებს ინფორმაციების მიღებას, დახარისხებას და ანალიზს. 2012 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაგეგმილია საგარეო დაზვერვის და ფელერა-

მათ შორის, უცხოური შეიარაღების (ფრანგული „მისტრალი“ იტალიური ჯავშნოსანი „იგეო“ და ა.შ.) შექმნის მიზნით. დაგეგმილია ბირთვული წყალქვეშა ნაგების შექმნაც, ასევე გლობალური კოსმოსური სამეთაურორეტრანსლაციური სისტემის აპარატი „პარაუმი“, თანამედროვე საბრძოლო

2002 წელს სატელევიზიო კომპანია „ნტვი-ს“ ბარბაროსული დარბევა და საბოლოოდ ამ ტელევიზიის რენაციონალიზაცია კრემლის გადაწყვეტილებით.

2003 წელს ცნობილი რუსი ოლიგარქის მიხეილ ხოლოდკოსკის დაპატიმრება და ქვეყნის მასშტაბით, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების გაჩენა;

2002 და 2004 წლებში ჯერ „ნორდ-ოსტის“ და შემდეგ ბესლანის ტრაგედიები;

2005 წელს ურნალისტ ანა პოლიტკოვსკაის მხეცური მკვლელობა, მოგვიანებით, ალექსანდრე ლიტვინენკოს არანაკლებ სასტიკი მკვლელობა,

ხოროვის დაფინანსების მეშვეობით გახდეს საპარლამენტო გავრთიანება.

საპარლამენტო არჩევნების ასეთი სავარაუდო შედეგები თავის მხრივ იქნება გენერალური რეპუტიცია 2012 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის.

პუტინი რომ უკვე ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ისიც მოწმობს, რომ მისი ინიციატივით დაარსდა დამოუკიდებელი საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრი „პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი, რომლის დირექტორი გახდა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ჩუვაშეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლაი ფედოროვი. ცენტრი სწორედ „სახალხო ფრონტის“ ვედიტო შეიქმნა და უშუალოდ პუტინისგან მიიღო წინასაარჩევნო კამპანიისთვის მზადების დავალება. პუტინის მეორე განკარგულებით, უკვე მთავრობის აპარატის ფავლებში დაარსდა ბიზნეს-ანალიტიკური ცენტრი „სტრატეგიული ინიციატივების დაგეგმარების სააგენტო“, რომელიც პირადად პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავიდა. ორი მძლავრი ანალიტიკური ინსტიტუტის დაარსება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს და პუტინის ამბიციებზე მიანიშნებს.

სამხალისი ვირტუალური სივრცეში

მმართველი პარტიის „ედინაია როსია“ წიაღში უკვე დაარსდა ინტერნეტულ ქსელში მუშაობის ახალი სპეციალური ჯგუფი, რომელსაც პუტინთან დაახლოებული კონსტანტინე რიკოვი ჩაუდგა, რომელიც „ინტერნეტ სივრცის მამად“ და მონოპოლისტად ითვლება, ეს იმას მიუთითებს, რომ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად პუტინი ინტერნეტის აქტიურად გამოყენებას აპირებს.

პუტინმა რახანა დაიწყო სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკური თანამდებობებზე საკუთარი კადრების ჩანაცვლება. ფედერაციის საჭირო სპეციალურ სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორის, ვალენტინა მატვიენკოს დანიშვნა უკვე შეთანხმებულია პრეზიდენტ მედვედევთან.

პუტინის გრემელადან პოლიტიკურ გეგმებზე მეტყველებს საქართველოში ნაკლებად ცნობილი ფურტოლოგიურ-მისტიკური პროექტი „რუსეთი 2045“. ამ პროექტის კოორდინატორია „ედინაია როსიას“ დეპუტატი სახელმწიფო ლუმაში, პუტინთან დაახლოებული კონსტანტინე რიკოვი, ხოლო დამფინანსებელი ოლიგარქი ოლეგ დერიასკა. პროექტის იდეის ავტორი ითავსა პუტინია, პროექტს მხარი დაუჭირა და საზღვარგარეთულ პარ-კომპანიის დასთანხმდა ცნობილი ამერიკელი მსახიობი, პუტინის პირადი მეგობარი სტივენ სივალი.

რეაქცია

ასეა თუ ისე, ყველა ნიშანი მეტყველებს იმაზე, რომ ვლადიმერ პუტინი რუსულ პოლიტიკაში ძალიან დიდი წილი დარჩენას აპირებს, მისი საპირფონო კი ქვეყანაში უსუსტესი ოპოზიციას, რომელიც ელსინის პოლიტიკურ ინსტიტუტთან ასოცირდება: მიხეილ კასანოვი, ბორის ნემცოვი, გარი კასპაროვი, ბორის ბერეზოვსკი და სხვები. მათ ფონზე, პუტინის შანსები – გახდეს რუსეთის მმართველი – ძალზე მაღალი და თითქმის უალტერნატივოა! რუსეთში მიმდინარე პროცესები და იქ მოსალოდნელი პროგნოზები აუცილებლად უნდა გახდეს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ანალიზის და დასკვნები გაკეთების საფუძველი, რადგან აღნიშნული პროგნოზები საქართველოს შესთავაზებს ისეთ გეოპოლიტიკურ რეალიტებს, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელი იქნება. თუ ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, ვალდებული ვართ ამ რეალიტებს თვალი გავუსწოროთ და ქართული სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია მათი გათვალისწინების საფუძველზე განვსაზღვროთ!

მომამბადა გამა ჩხაიძე



ლური უშიშროების სამსახურის გაერთიანება, რაც უკვე გააჩნაჟრა კრემლის რუპორმა ვლადიმერ ვირნიკოსკიმ. „ფს“-ს (ფედერალური უშიშროების სამსახურის მიუერთდა ფელერა-ლური სასაზღვრო სამსახური და ტექნიკური დაზვერვის ცენტრი).

თვითმფრინავები, ვერტმფრენები კ-52 („ალოგატორი“) მი-28ს („დამის მონადირე“). სხვათა შორის, მათი განლაგების ძირითადი ადგილი სწორედ ჩრდილოეთ კავკასია იქნება. ამას გარდა, შავი ზღვის ფლოტი მიიღებს დამატებით 3 წყალქვეშა ნავს.

შავი ლაქები

რა თქმა უნდა, პუტინის მმართველობის ხანას ჰქონდა არამართო პოზიტიური, ნეგატიური მომენტებიც.

2000 წელს წყალქვეშა ნავი „კურსკის“ ტრაგიკული დაღუპვა და ამაზე პუტინის არაადეკვატური რეაქცია;





a Tengen i dan~ yvavT aRvsebamde~...

fxovis sakral uri dro _ l eqsis misteria

(წერილი X)

კობა არაბული

კასტანდამ – ამერიკელმა მწერალმა – ინდიელის სიზმრები დაწერა! – ეს საოცარ მოვლენად იქცა... სიზმრებს „ჩვენი ერის ხედავს“

რომელიც საკრალური დროის წიაღიდან და ანდრეულის ცნობიერებიდან იხედება.

ინდიელთა სიზმრები თუ საინტერესოა, როგორ შეიძლება ინტერესს მოკლებული იყოს ფხოველ ხევისებრთა და ჯვარის დასტურ-ხელოსანთა, ქადაგთა სიზმრები: სიზმარს შეიძლება ხევისებრი გამოყვანა საკრალური რიტუალიდან, რომ ხელახლა შესულიყო იქ გაქმნილი...

„წუხელ სიზმარში დავითი (მიცვალებული) მოვიდა და მითხრა აქა და აქა ვარ სხვაგან ნუ შექებები!“ – შემოუთავა ქადაგმა აღდიამ სოფელს, როდესაც ზევეების წარდგანში დაკარგულ (დამარხულ) ადამიანებს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ...

ველა გაოგნებული იყო ამ შემონათვალთ და მისი სიციხადით: მიცვალებულნი მართლაც იქ ნახეს ჩაბრუნდნის, „თოვის სარკოფაგში“, სადაც აღდიამ მანინა – ეს მოხდა ჩვენი სტრუქტურის დროს XX საუკუნის 80-იან წლებში...

საოცარია ქადაგის ნათქვამი: „წუხელ სიზმარში მოვიდა და მითხრა!“ –

„მოვიდა და უთხრა“ – სულმა?!

„მოვიდა და უთხრა“ – ანგელოზმა,

რომელიც უკვე წასული („ახლი“) იყო ადამიანის სხეულიდან და მკვდართა ამავე მოქმედება ცოცხლებისთვის!

როდესაც აღდიამ ჩეკისტებმა დააბატონეს „გამოსაცდელი“ („ამჟრუვით“) კითხვები დაუსვეს! – „დამაკადეთ, დავინახებ და გეტყვით!“ – ბოლო ქადაგმა და მართლაც „უთხრა“!

... მართლაც რა იცინა და რა არ იცინა ცოცხლებმა, რას ხედავენ და რას ვერ ხედავენ, რა ესმით მათ და რა არ ესმით!

ანდრე ადამიანთა რომელიც კატეგორია ხედავს მოვლენებს წინასწარ, თუ „პარალელური დროში“... ამ მოვლენების სიღრმეში შედევნა რთულია, იგი მეტაფიზიკური – კაცთაგონების მიღმური სამყაროს ნაწილია, თუმცა ფხოველთა დროში რეალურად მგვარია, „სიზმრის კერაში“: სადაც ხედავდნენ ისევე, როგორც ჩვენ ვიღო ფოტოები...

მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენ ვერასოდეს დავინახავთ იმას, რასაც ჩვენი წინასწარი ხედავდნენ, რადგან ისინი უფლის სიწმიდის „საკრალურ წრეში“ იდგნენ, ჩვენ კი თანდათან ვეშორებოდით იმ წრეს...

მე არა ვარ ნათელმხილველი: მაგრამ სიზმრებს, რომლებსაც მე უხვად ვხედავ, ვწერდი ჩემი „შინაში ღამის ეტრატებში“ („კვირისა ხილვები ფხოვის გზებზე“, „ღვარაღა თუთა, ანუ ცვირილობის თვე“, „ჯოჯოლას სიკვდილი...“) და შემდგომ ეს სიზმრები თანდათან ცხადად ჩამოვდნენ ჩვენი ერის ბედისწერული დროის კერაზე...

და ერთხელაც, როდესაც პატრიარქი აქ არ იყო და უცხოეთში (გერმანიაში) წავიდა სამკურნალოდ, მომეჩვენა, თითქოს ჩვენს ცას და მიწას დამცავი აურა მოეხსნა, ძალიან ცუდ ხასიათზე დავდგე და მე ვნახე სიზმარი: მქინარე, უცნობი დროის და ტაოსის შვერდნება მქონდა, ცაზე წითელი „დამცხრალი მზე“ იდგა, პატრიარქი დაიპოვებოდა იყო ხრიკ ველზე (უცნაურ უღამიზე) და ლოცულობდა... მივედი, მის ფერხთან დავიხივე და მეც ლოცვა დავიხივე! პატრიარქი ლოცვას მორჩა, გაიღმა და ცას შეხედა, მან თქვა: „ნულარ გეშინათ, ჩვენს ერსა და ბოროტ

ძალას შორის ვაჟა-ფშაველას სული ჩადგაო!... უცრად თითქოს ამინდი (ტაროსი) შეიცვალა თითქოს სხვა დრო ჩამოვარდა! – გამეღვიძა, მთელი სხეული მთრიალებდა, და ესლაც იგივეს განვიცდი.

როცა ჩამეხმის „ჩვენსა და ბოროტ ძალას შორის ვაჟას სული ჩადგაო“ – ხორკლს მყვინს! – ისეთი უცნაური სიციხადეა ამ ფრაზაში – რომელიც პატრიარქმა სიზმარში ბრძანა!!! („სიზმარში მკითხავეს ამავე ლელა გაბურისამა“ – არსებობს ასეთი შედეგებიც რომელიც სიზმართა სიციხადიდან გამოდის).

მე ვამბობ, რომ ამ ტიპის შვერდნება და განცდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წილია, ასეთი სიზმართა სიციხადე“ სხვაგან, სხვათა ქვეყანაში არ იშვება...

ვაჟას სულს ჭეშმარიტად შეუძლია გაცხადება და ჩამოვლითა ერსა და ბოროტ ძალას შორის, რომელიც განუწყვეტელი ხედავს უქმის ჩვენს ქვეყანას, მის ფხო-

ზნობრივ გმირებად! მათ ერთმანეთი შვეს! მაგალითად ვაჟას გმირები: ალუდა, ჯოჯოლა, ზეიდაური, კვირია, ლელა ლუხუმი, ალაზა – თითქმის ვეღვა უკლებლად! ილიას გმირები: ოთარაანი ქერი, ვიორგი, ლეილუნა – თითქმის ვეღვა უკლებლად! აკაკის, ყაზბეგის, გოგებაშვილის გმირები... და მათი შემოქმედნი ვეღვალი ერთდროულად და ერთად იქცნენ ზნობრივი სივრცის მცველებად!

მათი შემოაღწივს XX საუკუნეშიც: მათი „სინერგია“ ვრცელდებოდა და „ფარავად“ ამ საუკუნის გარკვეულ „ნაწილსაც“ ხოლო:

XX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა აკაკი ბაქრაძის მითოგენური სახე, და კიდევ რამდენიმე ზნობრივი პერსონაჟი, რომლებიც მოკვდნენ!

XX საუკუნეში მთლიანად იქცა ზნობრივ გმირთა და „კაი ყმათა“ კელის და განდგენის საუკუნე.



კურ არსებობას, ჩვენს „ზნობრივ „მატრიცას“...

ვაჟას გმირები ვაჟას გვანან! იგი თავად არის მისი ვეღვა ისტორიული, თუ ანდრეულის (მთისური) გმირის ზნობრივი ორეული, მისი რჩეული პერსონაჟების პროტოტიპი... იგი თან დაჰყვება მის უცნაურ პერსონაჟებს და გამოჰყავს „რა მქმნას ციხის“ ჩაკეტული კარიდან.

თავისთავად დგება კითხვა: ვინ არის ვაჟა-ფშაველა და საიდან მოდის მისი გმირები?

ერთია „საფარველ დადებული“ მემეტე მეთმარი („მეთმარია კასტა“) მისი ამოცანაა მახვილი მტერზე მისვლა და დამარცხება...

მაგრამ სულ სხვა ზნობრივი გმირი, მისი მისია ერთიანი ერთეული სივრცის გაჯანსაღება, სულიერი, კატეგორიების გადარჩენა ერის ზნობრივი კათარზისა...

– ჰყავდა თუ არა ზნობრივი გმირი XIX საუკუნის და ვინ იყო იგი?

– არსებობს თუ არა ზნობრივი გმირის დაბადების (გაჩენის) შესაძლებლობა XXI – საუკუნის დამდევითი... არ არსებობს! ეს სივრცე, ეს „მკვდარი დრო“, თავისი მომავლიანობით და მოვლენებულობით, არ ქმნის ზნობრივი გმირის დაბადების შესაძლებლობას – მას საშუალება კლავს, და ყრმობაშივე ახრჩობენ. ისევე, როგორც (ზოგჯერ) „მოძოლი“ ახრჩობს ბავშვს... XXI – საუკუნე ბედისწერული დროა და გმირის შობას „უფლის განგებულება“ და ერთგვარი „ერინკარნაცია“ უნდა...

მოუხედავად იმისა, რომ უმძიმესი საუკუნე იყო XIX-საუკუნე ჩვენი ერისთვის, ამ დროს შეიქმნა ზნობრივი გმირთა დაბადების შესაძლებლობა.

ეს გმირები (მაღალი ზნობრივი ხარისხის მატარებელი) გამოჩნდნენ მწერლობაში ჯერ აბსტრაქციულ ლიტერატურულ სივრცეში, მათი პერსონაჟების სახით: მერე თავად მათი ავტორები იქცნენ

ვაჟამ ეს ვეღვაფერი იცის და უფალი თვითონ სვამს საკარგეო სკამზე და უხსნის – „რა მქმნას ციხის“ კარს.

ვაჟა იხე ჩადგა საუკუნის მსოფლიო მწერალთა შორის, როგორც ზოგადად მინდის მითი მითთა შორის!... ვაჟას პერსონაჟების (მისი გმირების დგომ და გამოსვლა XIX-XX – საუკუნის კულტურულ სივრცეში (აქაც და სხვაგანაც) სრულიად უცხო მოვლენა იყო!

უცხოა დღესაც: თუ ვაჟას წიგნებს მსოფლიოს „დაუღებ“ და წავაკითხებთ – მათთვის სულ სხვა დრო „ჩამოვდება“ და სხვა მოვლენები აღიძვრან!

ვაჟა რომის სულიერი კათარზის და ადამიანთა ცხოვრების ახალ ფსიქოლოგიურ მოდელს...

მაგრამ ჩვენ ვაჟა-ფშაველას „წიგნის“ მიწოდება (მიცემა) მსოფლიოსთვის ვერ შევძელით... და ვფიქრობთ რომ ვერც შევძლებთ ჩვენს უშუქობას და „სიმღერის“ გამო!

